საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის

ბრძანება №11

2024 წლის 24 იანვარი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 4 ივნისის № 3 ბრძანებით დამტკიცებული ლაბორატორიული მომსახურების ცენტრის დებულებაში ცვლილების განხორციელების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 73-ე მუხლის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №1-1/1570 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების, სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 4 ივნისის № 3 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიული მომსახურების ცენტრის დებულების“ მე-6 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

განხორციელდეს ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 4 ივნისის № 3 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიული მომსახურების ცენტრის დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდს შემდეგი რედაქციით:

„2. ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ქუთაისის მომსახურების ცენტრი;

ბ) ფოთის მომსახურების ცენტრი;

გ) თელავის მომსახურების ცენტრი.

მუხლი 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 4 ივნისის №3 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიული მომსახურების ცენტრის დებულების“ სხვა მუხლები და პუნქტები დარჩეს უცვლელი.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სტანდარტებისა და
მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს **დავით ტყემალაძე**
გენერალური დირექტორი